

„საქართველო ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარეს
შალვა ნათელაშვილს

მისამართი: ქ. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქ. N88

ზოგადი წინადადება

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო შალვა,

2020 წლის 29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N 5913/20) მომართეს ნ.მ.-მ, მ.გ.-მ და მა.გ.-მ განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარის - შალვა ნათელაშვილის (შემდგომში მოპასუხე) მიერ 2020 წლის 13 მაისს სოციალურ ქსელ „Facebook“-ში გაკეთებულ განცხადება შეიცავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ შინაარსს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის 13 მაისს, „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე, შალვა ნათელაშვილი, სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით გამოეხმაურა ონლაინ გამოცემა „რადიო თავისუფლების“ ვებ-გვერდზე განთავსებულ სტატიას,¹ რომელიც შეეხება გაუპატიურების სისხლისსამართლებრივი რეგულირების ცვლილებას. შალვა ნათელაშვილის განცხადებით:² „ესაა სრული იდიოტიზმი. ჯერ გაუპატიურების მუხლით აღძრულ უამრავ საქმეზე, იგივე ჩემი გამომძიებლობის პერიოდში საბოლოოდ დგინდებოდა, რომ ე.წ მსხვერპლი თვითონ იყო მაპროვოცირებელი, ან პროვოკატური რაიმე სარგებლის გამოსაძალად ან ცოლად გასაყოლად. ამ ფორმულირებით კანონის მიღება გამოიწვევს იმას, რომ ნებისმიერი მამაკაცი შეიძლება დაიჭირონ თუ ე.წ „დაზარალებულს“ ნებისმიერ დროს ეს მოეხსიანება.“

განმცხადებლების განმარტებით, შალვა ნათელაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება სქესის ნიშნით დისკრიმინაციულია და აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მაპროვოცირებელი თავად ქალია.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა მოპასუხე მხარისგან. შალვა ნათელაშვილის მიერ წარმოდგენილი განმარტების თანახმად, მის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადება ექცევა გამოხატვის თავისუფლების

¹ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: shorturl.at/eGLT3

² ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.facebook.com/shalvanatlashviliofficial/posts/2872495559536720>

ფარგლებში და არ შეიცავს დისკრიმინაციის წამახალისებელ შინაარსს. კერძოდ, შალვა ნათელაშვილმა მიუთითა, რომ მისი განცხადება შეეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებებს, და აღნიშნა, რომ „სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზარალებულის ამპლუაში გვევლინება მამაკაცი და ქალი მამაკაცის ნების საწინააღმდეგოდ მასთან ძალადობის გამოყენებით იჭერს ბუნებრივ სქესობრივ კავშირს ან/და ნებაყოფლობით ამყარებს სქესობრივ კავშირს და შემდეგ ემუქრება, რომ თუკი ცოლად არ მოიყვანს თავს მოიკლავს ან/და ყველას ამცნობს ამის შესახებ.“ მოპასუხის განმარტებით, მისი განცხადებით, იგი გამოეხმაურა იმ პირთა წრეს, რომლებმაც შესაძლოა საკანონმდებლო ცვლილება პროვოკაციული მიზნებისთვის გამოიყენონ.

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი კანონის მიზანს განსაზღვრავს, რაც მდგომარეობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში რასის, კანის ფერი, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. მე-3 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას ან უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ხელშეწყობას.

იმისათვის, რომ შალვა ნათელაშვილის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook“-ში განთავსებულ განცხადებას მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სავარაუდო დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადების შინაარსის, არამედ, ასევე ამ განცხადების ავტორის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის და იმ კონტექსტის გაანალიზება, რომელშიც აღნიშნული განცხადებები გაკეთდა.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ბუნებრივია, პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეს აქვს უფლება საკუთარი მოსაზრებები და შეფასებები, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, გაავრცელოს საჯაროდ.³ თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შალვა ნათელაშვილს, როგორც პოლიტიკურ ფიგურას და საჯარო პირს, აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ არ წახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე ნიშნის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პოლიტიკოსები, თავიანთი საჯარო ფუნქციის შესრულებისას, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლების მაღალი დონით, იმ შემთხვევაში, თუ მათი განცხადებები არ წარმოადგენს ძალადობის და სიძულვილის წახალისებას.⁴ ვინაიდან, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე პირების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განმარტებით, განსაკუთრებით პრობლემატური და საყურადღებოა საჯარო პირების მხრიდან სიძულვილის ენის⁵ გამოყენება და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა მხოლოდ ეფექტიანად დაიცვან ადამიანის უფლებები, არამედ, ასევე თავი შეიკავონ ისეთი აზრების გამოხატვისგან, რომლებიც ახდენენ დისკრიმინაციის ან შეუწყნარებლობის ლეგიტიმაციასა და ხელშეწყობას.⁶ სიძულვილის ენის გამოყენებისგან თავის შეკავების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს საჯარო პირებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტიც.⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ ინტერნეტი გამოხატვის თავისუფლების უპრეცედენტო პლატფორმაა, თუმცა, ამავდროულად, იგი გამოხატვის თავისუფლებას გარკვეულ საფრთხეებსაც უქმნის. კერძოდ, ინტერნეტის

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, საჯაროდ გავრცელება არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება; საქმე: №ას-1559-1462-2012; ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

⁴ Faruk Temel v. Turkey, Erbakan v Turkey, და Otegi Mondragon v Spain

⁵ ევროპის საბჭოს განმარტება სიძულვილის ენაზე: „სიძულვილის ენა არის გამოხატვის ყველა ფორმა, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნო ცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით“, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(97) 20., 1997

⁶ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის 29 აპრილის რეზოლუცია 1728 (2010) სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ, პარ. 7

⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997;

ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680505d5b>

საშუალებით შესაძლებელია, რომ სიძულვილის ენა მთელ მსოფლიოში სულ რამოდენიმე წამში გავრცელდეს და ინტერნეტ სივრცეში მუდამ ხელმისაწვდომი იყოს.⁸

სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში არაერთგზის აღნიშნავს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევად რჩება. ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი პრევენციის მექანიზმების არარსებობა.⁹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაუპატიურება არ არის ქმედება, რომელიც ძალადობის შემდგომ სრულდება. აღნიშნული დანაშაული ღრმა კვალს ტოვებს მსხვერპლის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ემოციურ სტრესთან ერთად, ძალადობის ფაქტი გავლენას ახდენს მსხვერპლის მიმართ განსაზღვრული აზრის ჩამოყალიბებასა და აღქმაზე იმ საზოგადოებაში, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს.¹⁰ გაუპატიურების მსხვერპლის მიმართ სტიგმა ბიძგს აძლევს მომავალში დისკრიმინაციულ მოპყრობასა და სოციალურ გარიყულობას.¹¹

არსებული კონტექსტისა და მოპასუხის სტატუსის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ არგუმენტაცია, რომელიც შალვა ნათელაშვილმა გამოიყენა საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკის მიზნით, ახალისებს ზოგადად ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ძალადობა გამოვლილ ან/და ძალადობის სავარაუდო მსხვერპლ ქალებზე. კერძოდ, შალვა ნათელაშვილმა განაზოგადა, მისი თქმით, პირადი გამოცდილება, რომლის თანახმადაც: „...ჯერ გაუპატიურების მუხლით აღძრულ უამრავ საქმეზე, იგივე ჩემი გამომძიებლობის პერიოდში საბოლოოდ დგინდებოდა, რომ ე.წ მსხვერპლი თვითონ იყო მაპროვოცირებელი, ან პროვოკატური რაიმე სარგებლის გამოსაძალად ან ცოლად გასაყოლად.“ უპირველეს ყოვლისა, მიუღებელია, თუნდაც ასეთი გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, მისი განზოგადება და პრობლემის წარმოჩენა ისე, თითქოს გაუპატიურების მსხვერპლი ქალები, როგორც წესი, პირადი მიზნებით მოქმედებენ და დანაშაულს, უმეტეს შემთხვევაში, ადგილი არ აქვს. შალვა ნათელაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება ვერ იქნება მიჩნეული ობიექტურ, პროფესიულ კრიტიკად და განპირობებულია გენდერული სტერეოტიპებით. შესაბამისად, სახალხო დამცველმა არ გაიზიარა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი განმარტება მის მიერ საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე გაკეთებულ დაკავშირებით.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) თანახმად, წევრი სახელმწიფოები აღიარებენ ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას და რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან,

⁸ Delfi AS v. Estonia

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; გვე.196-202; 171; ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

¹⁰ Abrahams & Jewkes, 2010; Devine, 1989; Goffman, 1963; Jones et al., 1984; Major & O'Brien, 2005

¹¹ Leary & Schreindorfer, 1998; Link & Phelan, 2001; Major & Eccleston, 2004; Miller & Kaiser, 2001; Parker & Aggleton, 2003

დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა; ამასთან, კონვენციის მე-12 მუხლი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მხარეები ატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს.¹²

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობა და თანაბარი პატივისცემა წარმოადგენს პლურალისტული დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებებში პრინციპულად აუცილებელია გარკვეული სანქციების დაწესება აზრის გამოხატვის ისეთი ფორმების მიმართ, რომლების ავრცელებენ, პროვოცირებას და სტიმულირებას უწევენ ან ამართლებენ შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს.¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის თანახმად, სიტყვის და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და სასამართლო ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას, იმ შემთხვევებში, თუ გამოხატვის თავისუფლება ლახავს სხვათა უფლებებს.¹⁴

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შალვა ნათელაშვილის მიერ საკუთარ „Facebook“ გვერდზე გაკეთებული განცხადება, წარმოადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევას. შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმართავს „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარეს - შალვა ნათელაშვილს ზოგადი წინადადებებით, თავი შეიკავოს დისკრიმინაციული შინაარსის განცხადებებისგან და თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის დაცვას.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

¹² Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://rm.coe.int/168008482e>

¹³ ECtHR, Erbakan v. Turkey, 59405/00, 06.07.2006, §56

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება N2/1/214, პ.1,

